Telavi Municipality
Digitally signed by Telavi Municipality
Date: 2022.05.10 17:50:05 +04'00'

ხელშეკრულება №0509/799

10 მაისი 2022 წელი

ერთი მხრივ **თელავის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **პირველი მოადგილის ნიკოლოზ მეტრეველის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი" დისტანციურ რეჟიმში ჩატარება თელავის მუნიციპალიტეტისთვის და მასში თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დისტანციურ რეჟიმში განხორციელდება მიმდინარე წლის ივნისის თვეში, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ თარიღსა და დროის პერიოდში.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს დისტანციურ რეჟიმში გასამართად ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, დამუშავება-რედაქტირება, შესაბამის პორტალზე განთავსება;
2.4.2. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში გასამართად შესაბამისი ვებ-პორტალი;
2.4.3 უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეებისათვის ონლაინ-სიგელების/დიპლომების მომზადება და შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში განათავსოს მათზე შემყიდველი მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა (ლოგო, გერბი ან სხვა);
2.4.4. შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიანიჭოს სისტემური წვდომის უფლება კონკურსის მიმდინარეობის და მისი შედეგების მონიტორინგის მიზნით;
2.4.5. ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ ფორმატში ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის" პრინციპით.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარების შემდგომ, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აფორმებიდან 10 დღის ვადაში.

3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია: თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით.
4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადების თარიღიდან 2022 წლის 05 ივლისის ჩათვლით.
4.3. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
თელავის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ.N16
ს.კ. 231291535
ტელ: 0(350)272300

მერის პირველი მოადგილე
ნიკოლოზ მეტრეველი ----------

მიმწოდებელი:
შპს „ეტალონი-მედია“
ს.კ. 20457202
სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608
მის:ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ტელ: 577681515

დირექტორი
მ. ღოღობერიძე ----------

Etaloni-Media LLC
Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2022.05.10 17:59:08 +04'00'